

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად**

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- 1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის.
- 1.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

- 2.1. ჩინური ენა ( 1 ვაკანსია - პროფესორი)

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2017 წლის 6 ნოემბრიდან - 2017 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.**

4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/72741801618456>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება 2017 წლის 13 ნოემბრიდან - 2017 წლის 16 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან ჩატარდება 2017 წლის 17 ნოემბრიდან - 2017 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი

ვებ-გვერდი: [www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@freeuni.edu.ge](mailto:Vacancy@freeuni.edu.ge)